



ვამტკიცებ / Утверждаю:

გენერალური დირექტორი / Генеральный директор
შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ /
ООО «Батумский нефтяной терминал»
ფარხატ ტაშიბაევ / Фархат Ташибаев

ტექნიკური დავალება

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების
სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე

Техническое задание

на закупку услуг по страхованию здоровья и жизни работников
ООО «Батумский нефтяной терминал» и членов их семей

შემკვეთი: შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“
Заказчик: ООО «Батумский нефтяной терминал»

სამუშაოთა დახასიათება: სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის
მომსახურების შესყიდვა

Характеристика работ: Закупка услуг по страхованию здоровья и жизни
მიწოდების მისამართი: საქართველო, ქ. ბათუმი, წმინდა სევერიან აჭარელის ქ. #4 გ
Адрес поставки: Грузия, г. Батуми, ул. Святого Северяна Аджарели №4 г

Батуми 2025
ბათუმი 2025

ტექნიკური დავალება

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ დასაქმებულთა და მათი ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის მომსახურების შესყიდვაზე

დამკვეთი:

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“

მომსახურების დახასიათება:

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ (შემდგომში - საგოგადოება) დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა.

სამედიცინო მომსახურების მიღება დასაქმებულებისა და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვისას მთელი საქართველოს მასშტაბით, ხოლო მოგზაურობისას - მის ფარგლებს გარეთ. სადაზღვევო ანაზღაურების მიღება დაზღვეულის ბუნებრივი გარდაცვალების ან უბედური შემთხვევის შედეგად.

დაზღვეულთა საერთო რაოდენობა:

საზოგადოების დაზღვეულთა გეგმიური რაოდენობა 2025 წლის 01 ოქტომბრის მდგომარეობით არის 622 დასაქმებული. საზოგადოება ახორციელებს დაზღვევის შესყიდვას მხოლოდ დასაქმებულთათვის, ხოლო დასაქმებულის ოჯახის წევრებისთვის ეხმარება დაზღვევის ერთი პროდუქტის შეძენაში. საოჯახო პაკეტით დაზღვეულთა რაოდენობა დამოკიდებულია პირობებსა და სადაზღვევო პრემიის ოდენობაზე.

მომსახურების პერიოდი:

2026 წლის 01 იანვრიდან 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

1) საზოგადოების თანამშრომლებისთვის დაზღვევის წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს არანაკლებ დანართი 1-ით (საბაზისო სადაზღვევო პოლისი) განსაზღვრული პირობებისა;

2) ოჯახის წევრთა დაზღვევის წინადადებები წარმოდგენილი უნდა იქნეს

Техническое задание

на закупку услуг по страхованию здоровья и жизни работников ООО «Батумский нефтяной терминал» и членов их семей

Заказчик:

ООО «Батумский нефтяной терминал»

Характеристика услуг:

Страхование здоровья и жизни работников ООО «Батумский нефтяной терминал» (далее – Общество).

Получение медицинских услуг при обращении работников и членов их семей в медицинских учреждениях по всей территории Грузии и за пределами во время путешествий. Получение страхового возмещения в случае естественной смерти застрахованного или в результате несчастного случая.

Общее количество страхуемых:

Плановая численность страхуемых Общества по состоянию на 01 октября 2025 года - 622 работников. Общество закупает страховку только для работников, а для семьи работника способствует закупу одного продукта страхования. Количество застрахованных семейным пакетом зависит от условий и размера страховой премии.

Период оказания услуг:

с 01 января 2026 года по 31 декабря 2026 года

Следовательно:

1) представленные предложения по страхованию для работников Общества должны быть не хуже, чем условия, определенные приложением 1 (Базовый страховой полис);

2) предложения по страхованию членов семей, должны быть представлены



ცალკე, თანამშრომელთა სადაზღვევო პაკეტის წინადადებისგან დამოუკიდებლად;

3) კომპანიებმა უნდა წარადგინონ ოჯახის წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევის 3 (სამი) სადაზღვევო პაკეტი (მათგან ერთ იდენტური თანამშრომლების პაკეტისა), როგორც ერთ წევრზე, ასევე საოჯახო პაკეტზე პრემიების მითითებით.

4) საზოგადოების თანამშრომელთა მეუღლეების ასაკი - შეზღუდვის გარეშე;

5) შვილების ასაკი, რომელსაც ფარავს საოჯახო პაკეტი - 26 წლის ჩათვლით;

6) 26 წლის ასაკის ზევით შვილებისთვის - პაკეტი +1 პრინციპით;

7) დაზღვეულთა სიაში დაზღვევის მომენტისათვის დასაქმებული (არსებული) თანამშრომლ(ებ)ის ან მისი ოჯახის წევრების დამატება შესაძლებელი უნდა იყოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის დაწყებიდან პირველი 2 (ორი) თვის განმავლობაში, ხოლო ქორწინების და/ან შვილის შეძენის შემთხვევაში მთელ სახელშეკრულებო პერიოდში, თანაგადახდის პროცენტის შეცვლის გარეშე; დაზღვეულთა სიის კორექტირება შესაძლებელი უნდა იყოს დასაქმებულის მიღების/გათავისუფლების შესახებ ინფორმირებისთანავე სადაზღვევო პრემიის ფაქტობრივი კალკულაციითა და გაანგარიშებით - ნამუშევარი დღეების პროპორციულად (გამონაკლისის გარდა);

8) ახალმიღებული თანამშრომლების დაზღვევა უნდა მოხდეს სადაზღვევო კომპანიისათვის საკონტაქტო მეილიდან ინფორმაციის მიწოდების თარიღიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ხოლო ოჯახის წევრების დაზღვევა ხდება სურვილისამებრ თანამშრომლის სამსახურში მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თანაგადახდის პროცენტის და ლიმიტების ცვლილების გარეშე;

9) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიისათვის საკონტაქტო მეილიდან ინფორმაციის მიწოდებისთანავე დაზღვევა უნდა შეწყდეს მომდევნო სადაზღვევო კალენდარული დღიდან;

отдельно от предложения по страхованию работников;

3) компании должны предоставить по 3 (три) страховых пакета страхования здоровья и жизни для членов семей (в том числе один -идентичный пакету сотрудника), указав премии как на одного члена, так и на семейный пакет.

4) возраст супругов сотрудников Общества – без ограничения;

5) возраст детей, включаемых в семейный пакет – до 26 лет включительно;

6) детям в возрасте старше 26 лет предлагается пакет по принципу +1;

7) добавление в список застрахованных на момент страхования застрахованного сотрудника или членов его семьи, должно быть возможным в течение первых двух месяцев от начала страхового периода, определенного договором, а в случае вступления в брак и/или рождения ребенка – на протяжении всего договорного периода без изменения процента со-платежа; корректировка списка застрахованных должна быть возможна сразу после информирования о приеме/освобождении работника с фактической калькуляцией и расчетом страховой премии - пропорционально отработанным дням (кроме исключений);

8) Страхование нового сотрудника, должно быть осуществлено в течение 1 (одного) рабочего дня с даты предоставления страховой компании информации по контактному электронному адресу, а страхование членов семьи происходит по желанию работника, в течение 1 (одного) месяца со дня его принятия на работу, без изменения процента со-оплаты и лимитов;

9) В случае прекращения трудовых отношений с работником, по получению страховой компанией информации по контактному электронному адресу, страховка должна быть прекращена со следующего страхового календарного дня;



10) ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიისთვის საკონტაქტო მეილიდან ინფორმაციის მიწოდების შემდეგ დაზღვევის გაუქმება;

11) დაზღვეულთა სიებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში უნდა მოხდეს სადაზღვევო პრემიის გადაანგარიშება იმ პერიოდის პროპორციულად, რომლის განმავლობაშიც მოქმედებდა დაზღვევა;

12) ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთ) სამუშაო დღეში სადაზღვევო პოლისების მოწოდება, დალაგებული საზოგადოების მიერ წინასწარ განსაზღვრულის სიის შესაბამისად.

ხელშეკრულებაში გასათვალისწინებელი სავალდებულო პირობები და დათქმები:

1. სამედიცინო დაწესებულებების ფართო პროვაიდერული ქსელი მთელი საქართველოს მასშტაბით, მნიშვნელოვანია ქ. ბათუმში სამედიცინო დაწესებულებების მაქსიმალური მოცვა, სადაც სადაზღვევო კომპანიის ინფორმირების გარეშე შესაძლებელი იქნება სამედიცინო მომსახურების მიღება. პროვაიდერი სამედიცინო დაწესებულებ(ებ)ის სიის ხელშეკრულებით განსაზღვრის შემდგომ შესაძლებელი იქნება მხოლოდ სიაში დამატების განხორციელება. გარდა ამისა თანაგადახდის პროცენტი და ლიმიტები პროვაიდერ და არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებში უნდა იყოს თანაბარი, მიუხედავად იმისა მომსახურება გაწეული იქნება ოჯახის ექიმის მიერ მიმართვით/საგარანტიოთი თუ მის გარეშე.

2. პროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებაში მომუშავე ყველა ექიმი (მათ შორის, მოწვეული ექიმი) და სამედიცინო მუშაკი უნდა ემსახუროდეს დაზღვეულ პირებს თანაგადახდის პირობით.

3. თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო დაწესებულებებში (ასევე მკურნალ ექიმთან) წინასწარ შეთანხმებულ დროსა (+/-10 წუთი) და სადაზღვევო კომპანიების სერვის-ცენტრებში პრიორიტეტული მომსახურების უზრუნველყოფა.

4. ქალაქ ბათუმში მინიმუმ 3 მრავალფუნქციონალური კლინიკა ოჯახის

10) в случае миграции за границу членов семьи, аннулирование страховки после предоставления страховой компании информации по контактному электронному адресу;

11) в случае внесения любых изменений в списки застрахованных, производится перерасчет страховой премии пропорционально времени, в течение которой действовало страхование;

12) предоставление страховых полисов в течение 5 (пяти) рабочих дней со дня заключения договора, в соответствии с упорядоченным, заранее определенным Обществом списком.

Обязательные условия и оговорки, учитываемые договором:

1. Широкая провайдерская сеть медицинских учреждений по всей Грузии, с максимальным охватом медицинских учреждений в г. Батуми, в которых без уведомления страховой компании можно будет получить медицинские услуги. Список провайдерских медицинских учреждений, оговоренных договором, в дальнейшем может только дополняться. Помимо этого, процент со-платежа и лимиты должны быть одинаковыми в провайдерских и непровайдерских медицинских учреждениях вне зависимости от того, обслуживание будет оказано по выданному семейным врачом направлению/ гарантийному письму или без него.

2. Все работающие в провайдерских медицинских учреждениях врачи (в том числе, приглашенный врач) и мед. работники должны обслуживать застрахованные лица на условии со-платежа.

3. Обеспечение приоритетного обслуживания сотрудников и членов их семей в оговоренное время (+/-10 минут) как в медицинских учреждениях (в т.ч. к лечащему врачу), так же и в сервис-центрах страховых компаний.

4. Минимум 3 многофункциональные клиники с услугами семейного врача в г. Батуми, в т.ч. одна (минимум) базовая



ექიმის მომსახურებით, მათ შორის ერთი (მინიმუმ) საბაზისო ამბულატორიული კლინიკა, ექიმის ბინაზე გამოძახების მომსახურებით და საავადმყოფო ფურცლის გახსნის ფუნქციით, აგრეთვე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე საზოგადოების ექიმის ვინაობის წინასწარი წარდგენით, ასევე არანაკლებ 1 (ერთი) ოჯახის ექიმის მომსახურება 6 დღიანი სამუშაო კვირით.

5. საზოგადოების შენობაში ოჯახის ექიმის განთავსება, ხელშეკრულების გაფორმების პირველი სამუშაო დღიდანვე, ორშაბათიდან-პარასკევის ჩათვლით, 09:00-დან 18:00 საათამდე (შესვენება 13:00-დან 14:00 საათამდე) და შაბათს ნებისმიერ პროვაიდერ კლინიკაში 09:00-დან 14:00 საათამდე, ადგილზე საავადმყოფო ფურცლის გახსნის უფლებით.

6. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ლოკაციებზე ოჯახის ექიმის დროებით არ ყოფნის შემთხვევაში ჩანაცვლება;

7. სამედიცინო დაწესებულებებისა და მკურნალი ექიმის თავისუფალი არჩევა, პოლისში მითითებული ლიმიტისა და თანაგადახდის წილის შემცირებისა და სადაზღვეო კომპანიის გაფრთხილების ვალდებულების გარეშე; თუკი კერძოდ ჩატარებული კვლევა ასეთ ლიცენზირებულ კლინიკაში არ ხორციელდება, საბანკო გადარიცხვის ორდერი აღიარებულ იქნეს როგორც ფინანსური დოკუმენტი. ასევე ოპერაციაზე მოწვეული (არჩეული, პირადი) ექიმის ჰონორარის თანაგადახდით დაფინანსდება.

8. პოლისით დადგენილი ლიმიტის და თანაგადახდის პროცენტის ფარგლებში საზღვარგარეთ ამბულატორიული და ჰოსპიტალური მომსახურების მიღება სადაზღვეო კომპანიის გაფრთხილების ვალდებულების გარეშე, აგრეთვე:

- საზღვარგარეთ გაგზავნილი მასალის და ანალიზების კვლევის დაფარვა, საქართველოში არსებული ფასის შესაბამისად (თუ ასეთი კვლევა ტარდება საქართველოში) სადაზღვეო კომპანიის გაფრთხილების ვალდებულების გარეშე;

- საზღვარგარეთ შეძენილი მედიკამენტების ანაზღაურება პოლისის შესაბამისად;

амбулаторная клиника с функцией вызова врача на дому и открытия больничного листа, а также предварительное представление личного врача Общества с момента вступления в силу договора, а также обслуживание не менее 1 семейного врача с 6-дневной рабочей неделей.

5. Размещение семейного врача на территории Общества с первого рабочего дня с даты оформления договора, с понедельника до пятницы включительно с 09:00 до 18:00 часов (перерыв с 13:00 до 14:00 часов) и в субботу в любой провайдерской клинике с 09:00-14:00 часов с правом открытия больничного листа на месте.

6. Замещение временно отсутствующего семейного врача на локациях, предусмотренных договором;

7. Свободный выбор лечащего врача и медицинского учреждения, без занижения указанного в полисе лимита и со-платежа, и без обязательства предупреждения страховой компании; в случае, если проведенное частное обследование не осуществляется в такой лицензированной клинике, признать ордер банковского перевода за финансовый документ. Также финансирование с со-платежом гонорара привлеченного на операцию (выбранного, личного) врача.

8. Получение амбулаторных и госпитальных медицинских услуг за рубежом в пределах установленного полисом лимита и процента со-платежа без обязательства предупреждения страховой компании, а также:

- покрытие стоимости отправленных за границу материалов и анализов, в соответствии с существующими в Грузии ценами (если такое обследование проводится в Грузии) без обязательства предупреждения страховой компании;

- возмещение приобретенных за границей медикаментов в соответствии с полисом;



- საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების ან მედიკამენტის შეძენის გადახდის დოკუმენტად ჩაითვალოს ზედნადები/ანგარიშ-ფაქტურა ან სხვა ნებისმიერი ბეჭედდასმული დოკუმენტი, სალაროს ქვითრის წარდგენის ვალდებულების გარეშე;

- ანაზღაურების მიზნით უცხო ენაზე წარდგენილი დოკუმენტების ქართულად თარგმნის ვალდებულება არ ეკისრება დაზღვეულს.

9. ორსულობა/მშობიარობა. ორსულობა და მასთან დაკავშირებული მკურნალობის მომსახურების მიღება/დაფარვა ვრცელდება ყველა დაზღვეულ პირზე, (თანამშრომლები/ოჯახის წევრები) თუკი ის წინა ხელშეკრულებით დაზღვეული იყო, აგრეთვე წინა ხელშეკრულების გათვალისწინების გარეშე მომსახურების მიღება უნდა შეძლოს ახლად დაზღვეულებმა, რომელთა ორსულობის პერიოდი ხელშეკრულების ძალაში შესვლისას მოიცავს არაუმეტეს 6 თვეს;

აგრეთვე ანაზღაურებადი უნდა იყოს „ლუქს“ ტიპის პალატის ხარჯები.

10. საქართველოს ტერიტორიაზე პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკებით უზრუნველყოფა, მათ შორის მნიშვნელოვანია ბათუმში - არანაკლებ 10 კლინიკა და თბილისში - არანაკლებ 10 კლინიკა, სადაც დასაქმებული ყველა ექიმი უნდა ემსახურებოდეს დაზღვევის პირობებს, რომლებშიც ორთოდონტიაზე, ორთოპედიასა და იმპლანტაციაზე დაზღვეულთათვის იქნება მნიშვნელოვანი ფასდაკლებები.

სტომატოლოგიური მომსახურება უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ სერვისებს და ანაზღაურება უნდა მოხდეს როგორც პროვაიდერ, ისე არაპროვაიდერ კლინიკებში:

- „Air-Flow“ აპარატით ჩატარებული წმენდის დაფარვა;
- მიკროსკოპის გამოყენებით კბილის დაბეჭენა ლიმიტის შესაბამისად;
- ლორწოვანი გარსის მკურნალობის ხარჯების დაფარვა;
- გადაღებული 3D პანორამული სურათის ხარჯების სრული დაფარვა.

- документом, подтверждающим оплату медикаментов или медицинских услуг, полученных за границей считать накладную/счет-фактуру или любой другой документ с печатью, без обязательства по предоставлению кассового чека;

- обязательство по переводу на грузинский язык документации, предоставленной на иностранном языке, не возлагается на застрахованного.

9. Беременность / роды. Услуги по беременности и сопутствующему лечению распространяются на все застрахованные лица (сотрудники / члены семей) если они были застрахованы предыдущим договором, также на новые застрахованные лица, срок беременности которых на момент вступления в силу договора составляет не более 6 месяцев, должны иметь возможность получать услуги без учета предыдущего договора;

Также возмещению должны подлежать расходы по палатам типа «Люкс».

10. Обеспечение провайдерскими стоматологическими клиниками на территории Грузии, в т.ч. важно в г. Тбилиси не менее 10 клиник и Батуми не менее 10 клиник, в которых все врачи будут соблюдать условия страхования, и в которых будут значительные скидки на ортодонтию, ортопедию и имплантацию.

Стоматологические услуги должны включать нижеперечисленные услуги и возмещение должно производиться как в провайдерских, так и не провайдерских клиниках:

- покрытие стоимости чистки аппаратом «Air-Flow»;
- пломбирование зуба при помощи микроскопа, согласно лимиту;
- покрытие расходов на лечение слизистой оболочки;
- полное покрытие расходов на 3D панорамное изображение.



გასათვალისწინებელია:

- სტომატოლოგიურ კლინიკა-პროვაიდერებში დასაქმებული ყველა ექიმი უნდა ახორციელებდეს ნებისმიერ სტომატოლოგიურ მომსახურებას, ასევე სიაში აღნიშნული ყველა კლინიკა-პროვაიდერი უნდა ახორციელებდეს ნებისმიერ სტომატოლოგიურ მომსახურებას, მათ შორის ორთოდონტიას, ორთოპედიასა და იმპლანტაციას;
- სხვადასხვა პროვაიდერად ვერ ჩაითვლება ერთი და იმავე დასახელების მქონე კლინიკა, განთავსებული სხვადასხვა მისამართზე;
- დაუშვებელია კლინიკა-პროვაიდერში არ ხორციელდებოდეს ყველა მომსახურებისა და ფასდაკლების მიღება.

ორთოდონტიამდე, ორთოპედიამდე და იმპლანტაციამდე გაწეული მკურნალობა ანაზღაურდეს გეგმიური სტომატოლოგიური მომსახურების ლიმიტის შესაბამისად.

პროვაიდერი სტომატოლოგიური კლინიკების ხელშეკრულებით განსაზღვრის შემდგომ შესაძლებელი იქნება კლინიკის დამატება. თანაგადახდის პროცენტი და ლიმიტები პროვაიდერ და არაპროვაიდერ სამედიცინო დაწესებულებებში უნდა იყოს თანაბარი.

დაზღვეულ პირებს უნდა მიეცეთ სტომატოლოგიური კლინიკის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა პოლისით დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

11. ტრადიციული მედიცინის ექიმ-სპეციალისტის დანიშნული ყველა მედიკამენტის ანაზღაურება (მედიკამენტები, იმუნომოდულატორები, ვიტამინები, ფიტო და გომეოპათიური საშუალებები, ბად-ი, ასევე ის პრეპარატები რომელთაც ამოწურათ რეგისტრაციის ვადა და არარეგისტრირებული მედიკამენტი), რომლის შეძენა მოხდა ნებისმიერ ავთიაქში (განურჩევლად პროვაიდერისა და არაპროვაიდერისა). ორსულობის დროსა და ავთვისებიანი ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების ხარჯები დაიფარება შესაბამისი (ორსულობა, ონკოლოგია) ლიმიტის ფარგლებში. ამასთან, მიუღებელია „პოზიტიური“ მედიკამენტების ჩამონათვალის არსებობა, რომელიც შეზღუდავს

Необходимо учесть:

- все врачи, работающие в клинике-провайдере, должны предоставлять любые стоматологические услуги, также все клиники-провайдеры, указанные в списке, обязаны предоставлять любые стоматологические услуги, включая ортодонтию, ортопедию и имплантацию;
- клиники с одинаковым названием, расположенные по разным адресам, не могут считаться разными провайдерами;
- недопустимо, чтобы в клинике-провайдере не предоставлялись все услуги и не распространялась скидка.

Лечение до ортодонтии, ортопедии и имплантации должно быть возмещено в соответствии с лимитом на плановое стоматологическое обслуживание.

После определения договором провайдерских стоматологических клиник будет возможно добавление клиник. Процент со-платежа и лимиты в провайдерских и непровайдерских медицинских учреждениях должны быть одинаковыми.

Застрахованным должен быть предоставлен свободный выбор стоматологических клиник в рамках лимита, установленного полисом.

11. Возмещение стоимости всех лекарственных средств, назначаемых врачом-специалистом традиционной медицины (медикаменты, иммуномодуляторы, витамины, фито и гомеопатические средства, БАД-и, а также те препараты, у которых истек срок действия регистрации и незарегистрированные медикаменты), приобретение которых будет произведено в любой аптеке (независимо от того, провайдер/не провайдер). Расходы на лекарственные средства, необходимые во время беременности и лечения злокачественных онкологических заболеваний, будут покрыты в пределах соответствующего (беременность, онкология) лимита. При этом неприемлемо существование «позитивного» списка



ოჯახის ექიმს მედიკამენტებისა და სხვა საშუალებების დანიშნისას.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების ოჯახის ექიმთან ვიზიტის გარეშე ყოველი თვის ერთსა და იმავე თარიღში ავტომატურად გამოწერის შესაძლებლობა, sms შეტყობინების გაგზავნით.

12. დაუშვებელია „სამედიცინო ჩვენების“ საფუძველით ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა. შესაბამისად დაუშვებელია სერტიფიცირებული ექიმი/სპეციალისტი მიერ დადგენილ მკურნალობაში ჩარევა და გამოწერილი მედიკამენტური საშუალებების შეცვლა ან გაუქმება. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები აზუსტებენ, რომ მზღვეველს არ აქვს ექიმის, სპეციალისტის მიერ გაცემული რეკომენდაციის, დანიშნულების რევიზიისა და კორექტირების უფლებამოსილება.

დაუშვებელია გენეტიკურად / თანდაყოლილად ჩაითვალოს ის დაავადება, რომელიც გამოვლინდა წინა სადაზღვეო პერიოდებში და მიმდინარეობდა მისი მკურნალობა. შესაბამისად დაუშვებელია ამ საფუძველით ხარჯების ანაზღაურებაზე უარის თქმა.

13. გადაუდებელი (სასწრაფო დახმარების) სამედიცინო მომსახურების სრული ანაზღაურება, მათ შორის მიმღები სამედიცინო დაწესებულების EMERGENCY (გადაუდებელი დახმარების) განყოფილების მომსახურების ხარჯებისა; ასევე სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ დაზღვეულის პროვაიდერ კლინიკაში გადაყვანის უზრუნველყოფა.

14. ღირებულების ანაზღაურება შემდეგი ოდენობით: ენდო-პროთეზირების წლიური ლიმიტით 2000 ლარი; კარდიოლოგიური სტენტების ღირებულები, მათ შორის მედიკამენტით დაფარული სტენტის, ყოველ სტენტზე 1500 ლარი; ხელოვნური ბროლი 1000 ლარი. გარდა ამისა ქირურგიული ოპერაციის ჩატარებისას ყველა სახარჯო მასალის ღირებულების ანაზღაურება, საზღვარგარეთ კვლევისათვის მასალის გაგზავნა.

лекарств, который ограничивает семейного врача при назначении медикаментов и других средств.

Возможность автоматически выписывать в одно и то же время каждого месяца препараты для лечения хронических заболеваний, без обязательного визита к семейному врачу, направлением смс сообщения.

12. Недопустим отказ в возмещении расходов на основании «медицинских показаний». Соответственно недопустимо вмешательство в назначенное лечение сертифицированным врачом/специалистом и замена или аннулирование прописанных лекарственных средств. Во избежание всякого рода недоразумений, стороны уточняют, что у страховщика нет полномочий на проведение ревизии и корректировки рекомендации/ назначения врача. Недопустимо считать за генетические/ врождённые заболевания, выявленные в период предыдущего страхового периода и по которым проводилось лечение. Соответственно, недопустимо заявлять об отказе в возмещении, ссылаясь на данное обстоятельство.

Недопустимо считать за генетические/ врождённые заболевания, выявленные в период предыдущего страхового периода и по которым проводилось лечение. Соответственно, недопустимо заявлять об отказе в возмещении, ссылаясь на данное обстоятельство.

13. Полное возмещение услуг неотложной (скорой) медицинской помощи (независимо от диагноза), включая оплату услуг в приемном отделении оказания неотложной (скорой) помощи (EMERGENCY) медучреждения, а также обеспечение транспортировки застрахованного лица в провайдерскую клинику бригадой скорой помощи.

14. Возмещение стоимости: эндопротезов с годовым лимитом в 2000 лари; кардиологических стентов, включая покрытый медикаментом и с лимитом, на каждый стент 1500 лари; искусственного хрусталика в 1 000 лари. Кроме того, возмещение стоимости всех расходных материалов при проведении хирургических операций, отправка материала на исследование за границу.



15. დაზღვეულის მომართვის შემთხვევაში დადგენილი თანადაფინანსების წილისა და ლიმიტის ფარგლებში აანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, მიუხედავად იმისა ფინანსდება/ანაზღაურდება თუ არა აღნიშნული მომსახურება სახელმწიფო/რეფერალური პროგრამ(ებ)ით.

16. საზოგადოების თანამშრომლების ყოველწლიური კომპლექსური სამედიცინო შემოწმება (სისხლის საერთო ანალიზი; სისხლში გლუკოზის დონის განსაზღვრა; სისხლში პროთრომბინის ინდექსის განსაზღვრა; შარდის საერთო ანალიზი; ექოკარდიოგრაფია; მუცლის ღრუს ექოსკოპია; აუდიომეტრია (სმენის შეფასება); მხედველობის შემოწმება (ოფთალმოლოგის კონსულტაცია); გულმკერდის ორგანოების რენტგენოგრაფია; ნარკოლოგიური ტესტირება; ნევროლოგის კონსულტაცია; თერაპევტის / ოჯახის ექიმის კონსულტაცია; თერაპევტის / ოჯახის ექიმის მიმართებით ქირურგის, ფსიქოთერაპევტის კონსულტაცია).

საზოგადოებისთვის კლინიკის (პროვაიდერის) არჩევის უფლების მინიჭება წინასწარ შეთანხმებული სიის მიხედვით კვლევების ჩატარების მიზნით. კლინიკის ვალდებულება სამედიცინო კვლევების შედეგების სრულყოფილად და ორგანიზებულად მოწოდების შესახებ.

შემოწმების შედეგების გადაცემა დაზღვეულისთვის, ხოლო საზოგადოებისთვის - კვლევების საფუძველზე ოჯახის ექიმის მიერ გაცემული #IV-100a ფორმისა (ცნობისა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), სადაც ექიმი იძლევა რეკომენდაციას შრომით მოვალეობებთან დასაქმებულის ჯანმრთელობის შესაბამისობის თაობაზე.

17. სიცოცხლის დაზღვევის ლიმიტი თანამშრომლისათვის არა ნაკლებ 6000 (ექვსი ათასი) ლარი, ხოლო მისი ოჯახის წევრებისათვის არა ნაკლებ 2000 (ორი ათასი) ლარი, ექსპერტიზის დასკვნის აუცილებლობის გარეშე ფორმა-106 ის საფუძველზე -სრული დოკუმენტაციის მოწოდების შემდგომ ანაზღაურება მოხდეს სამედიცინო დოკუმენტაციის მოწოდებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

15. В случае обращения застрахованного, возмещение расходов на медицинское обслуживание застрахованному в пределах лимита и процента со-платежа, несмотря на то финансируется/возмещается или нет отмеченное обслуживание государственной /реферальной программой(ми).

16. Ежегодное комплексное медицинское обследование сотрудников Общества, включающее: общий анализ крови, анализ глюкозы в крови, анализ крови на протромбиновый индекс, общий анализ мочи, эхокардиография, эхоскопия брюшной полости; аудиометрия (оценка показателей слуха); проверка зрения (консультация офтальмолога); рентгенография органов грудной клетки; наркологическое тестирование; консультация невролога; консультация (заключение) семейного врача/терапевта; по направлению семейного врача/терапевта консультация хирурга, психотерапевта).

Предоставление Обществу права выбора клиники (провайдера) для проведения исследований согласно предварительно согласованному списку. Обязанность клиники предоставлять результаты медицинских исследований в полном и организованном порядке.

Передача результатов проверки застрахованному, а Обществу – формы #IV-100a (справки о состоянии здоровья), выданной семейным врачом на основании обследования, в который врач прописывает рекомендации о состоянии здоровья сотрудника относительно трудовых обязательств.

17. Лимит страхования жизни для сотрудников не менее 6000 (шесть тысяч) лари, а членов их семьи – не менее 2000 (две тысячи) лари, без необходимости заключения экспертизы на основании Формы №106 – после предоставления полной документации возмещение осуществлять не позднее 5 рабочих дней от предоставления всей документации.



18. ანაზღაურების წესებიდან მინიმალური გამონაკლისები: დასაშვებია დანართი 2-ით წარმოდგენილი გამონაკლისების სიის შემცირება.

სამედიცინო დაზღვევის ლიმიტი:
აგრეგირებული ლიმიტი მინიმუმ 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

დამატებით სადაზღვეო ფონდი:

მზღვეველმა ხელშეკრულების ფარგლებში უნდა გამოყოს დაზღვეული პირებისთვის დამატებითი სადაზღვეო ფონდი არანაკლებ 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით (შემდგომში - ფონდი).

აღნიშნული ფონდის ფარგლებში მზღვეველი დაზღვეულ პირებს აუნაზღაურებს შემდეგ ხარჯებს:

- პოლისის ლიმიტით განსაზღვრული თანხის ზემოთ გაწეული ხარჯები (როდესაც ამოიწურა ლიმიტი);
 - დაზღვეულის მიერ თანაგადახდის სახით გაწეული ხარჯები;
 - ხარჯები იმ ტიპის მკურნალობისთვის, რომლებიც შედის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გამონაკლისებში.
 - საზოგადოების მიერ მოწოდებული ოფიციალური წერილის საფუძველზე ნებისმიერი სამედიცინო ხარჯი, მათ შორის საზღვარგარეთ მკურნალობის ხარჯები.
- ფონდიდან ანაზღაურება მოხდეს საზოგადოების მიერ წერილობით შეტყობინებისა და დაზღვეულის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის მოწოდებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა.

ფონდი უნდა ვრცელდებოდეს როგორც თანამშრომლებზე, ასევე მათი ოჯახის წევრებზე.

გადახდის პირობები:

ყოველთვიურად, დაზვეულთა სიის შეთანხმების შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის შესაბამისად.

18. Минимум исключений из правил возмещения: допускается сокращение примерного списка исключений, представленного в приложении 2.

Лимит медицинского страхования:
Агрегированный лимит минимум 35 000 (тридцать пять тысяч) лари.

Страховщик, в рамках договора, должен выделить дополнительный страховой фонд для застрахованных лиц в сумме не менее 35 000 (тридцать пять тысяч) лари (далее – Фонд).

В рамках указанного Фонда страховщик возмещает застрахованным лицам следующие расходы:

- расходы, понесенные сверх суммы, определенной лимитом полиса (когда истек лимит);
- расходы, понесенные застрахованным в виде со-платежа;
- расходы по тем видам лечения, которые входят в исключения по возмещению согласно договору.
- Любой медицинский расход на основании полученного от Общества официального письма, в том числе расходы на лечение за границей.

Возмещение из фонда должно производиться не позднее 3 рабочих дней после письменного уведомления Обществом и предоставления застрахованным медицинской документации.

Фонд должен распространяться, как на работников, так и на членов их семей.

Условия оплаты:

Ежемесячно, в соответствии с выставленным счетом-фактурой, после согласования списка лиц.



დანართი 1 /ПРИЛОЖЕНИЕ 1

დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვები/ Покрyтия, предусмотренные Договором страхования	მზღვეველის წილი	ლიმიტი	
24 საათიანი სატელეფონო მომსახურება/ Круглосуточное телефонное обслуживание	100%	ულიმიტო/ без лимита	
პირადი ექიმის მომსახურება/ Услуги личного врача	100%	ულიმიტო/ без лимита	
სასწრაფო სამედიცინო დახმარება/ Скорая медицинская помощь	100%	ულიმიტო/ без лимита	
ჰოსპიტალური სამედიცინო მომსახურება/ Госпитальные медицинские услуги			
უბედური შემთხვევით განპირობებული გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება/ Неотложные госпитальные услуги, обусловленные несчастным случаем	100%	35 000 ლარი/ ლარი	
გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება/ Неотложные госпитальные услуги	100%		
გეგმური ჰოსპიტალური მომსახურება/ Плановые госпитальные услуги	100%		
დღის სტაციონარი/ Дневной стационар	80%		
ონკოლოგია/ Онкология	100%	15 000 ლარი/ ლარი	
ორსულობა/მშობიარობა/ Беременность/роды	100%	4 000 ლარი/ ლარი	
ამბულატორიული მომსახურება/ Амбулаторные услуги			
გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება/ Неотложные амбулаторные услуги	100%	ულიმიტო/ без лимита	
გეგმური ამბულატორიული მომსახურება პერსონალური ექიმის მიმართებით/ Плановые амбулаторные услуги по направлению персонального врача	90%	7 000 ლარი/ ლარი	
გეგმური ამბულატორიული მომსახურება პერსონალური ექიმის მიმართვის გარეშე/ Плановые амбулаторные услуги без направления персонального врача	80%		
მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება მიმართვა/საგარანტიო წერილით /Возмещение стоимости медикаментов с гарантийным письмом	90%	7 000 ლარი/ ლარი	7 000 ლარი/ ლარი
მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება/ Возмещение стоимости медикаментов	80%		
ბიოლოგიურად აქტიური დანამატების ღირებულების ანაზღაურება/ Возмещение стоимости биологически активных добавок	80%	1000 ლარი/ ლარი	
მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება ექიმის დანიშნულების გარეშე/ Возмещение стоимости медикаментов без назначения врача	80%	200 ლარი/ ლარი	
დაავადებათა პროფილაქტიკა/ Профилактика болезней			
ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევები/ Лабораторно-инструментальные исследования	100%	ინდ. სადაზღვევო პერიოდში ორჯერ / Два раза в течение инд. страхового периода	



სპეციალური სამედიცინო პროფილაქტიკური შემოწმება მხოლოდ თანამშრომლებისთვის/ Специальное профилактическое медицинское обследование только для сотрудников	100%	ინდ. სადაზღვევო პერიოდში ერთხელ/ Один раз в течение инд. страхового периода
სტომატოლოგიური მომსახურება/ Стоматологические услуги		
გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება/ Неотложные стоматологические услуги	100%	ულიმიტო/ без лимита
გეგმური სტომატოლოგიური მომსახურება პროვაიდერ კლინიკებში/ Плановые стоматологические услуги в провайдерских клиниках	90%	3 000 ლარი/ лари
გეგმური სტომატოლოგიური მომსახურება თავისუფალი არჩევანი/ Плановые стоматологические услуги свободный выбор клиник	50%	
ფასდაკლება ორთოპედიულ, ორთოდონტულ და იმპლანტაციაზე პროვაიდერ სტომატოლოგიურ კლინიკებში / Скидка на ортодонтую, ортопедию и имплантацию в стоматологические провайдерских клиниках	არანაკლებ Не менее 60%	3 000 ლარი/ лари
მოუხსნელი ორთოდონტიული აპარატის (ბრეის სისტემა) დაყენების ხარჯების ანაზღაურება / Фиксация несъемного ортодонтического аппарата (брекет-системы)	50%	ულიმიტო/ без лимита
დამატებითი მომსახურება/ Дополнительные услуги		
სიცოცხლის დაზღვევა/ Страхование жизни		6000 ლარი/ лари (თანამშრომლებისთვის/для сотрудников) не менее 2000 ლარი / არანაკლებ 2000 ლარისა (ოჯახის წევრებისთვის/для членов семьи)
უბედური შემთხვევის დაზღვევა/ Страхование от несчастного случая		აგრეგირებული ლიმიტი/агрегированный лимит: 6000 ლარი/ лари
სრული მუდმივი შრომისუნარიობა/ Полная постоянная нетрудоспособность		6000 ლარი/ лари
ნაწილობრივი მუდმივი შრომისუნარიობა/ Частичная постоянная нетрудоспособность		6000 ლარი/ лари
სამოგზაურო დაზღვევა, ლიმიტი 50,000.00 EUR მხარდამჭერი «Coris Assistance»/ Туристическое страхование, лимит 50,000.00 EUR; поддержка «Coris Assistance»		90 დღიანი მულტიპოლისი (სადაზღვევო პერიოდი) /90 дневный мультиполис (страховой период)
აგრეგირებული ლიმიტი ბარათზე (არ მოიცავს სამოგზაურო, სიცოცხლის და უბედური შემთხვევის დაზღვევას)/ Агрегированный лимит на Карте (за исключением Туристического страхования, Страхования жизни и от несчастного случая)		35 000 ლარი/ лари



დანართი 2

ПРИЛОЖЕНИЕ 2

საბაზისო სადაზღვეო პოლისი / Базовый страховой полис

ჯანმრთელობის დაზღვევის გამონაკლისები

არ იფარება/არ ანაზღაურდება

1. სათვალის, კონტაქტური ლინზებისა და სმენის აპარატის შესაძენასთან დაკავშირებული ხარჯები;
2. თანდაყოლილი და გენეტიკური დაავადებებისა და დეფექტების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება; (მაგრამ მიუხედავად ამისა ანაზღაურდება პირველადი დიაგნოსტიკის, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებისა, ასევე გეგმიური და გადაუდებელი ქირურგიული მკურნალობის ხარჯები); ამასთანავე თანდაყოლილად ვერ ჩაითვება ნაადრევად მცირე მასის, მორფო-ფუნქციური უმწიფრობით დაბადებული ახალშობილის გამოსაზრდელად მკურნალობის და რესპირატორული მხარდაჭერის ხარჯები, თუ კი ახალშობილი კლინიკიდან გაიწერება სრულიად ჯანმრთელი;
3. ეგზოპროთეზების და ორგანოთა ტრანსპლანტაციასთან დაკავშირებულ ხარჯები (გარდა პოლისით გათვალისწინებულისა);
4. უნაყოფობის და იმპოტენციის დიაგნოსტიკებისა და მკურნალობის ხარჯები; კონტრაცეფციის (გარდა მკურნალობის მიზნით დანიშნული კონტრაცეფტივებისა), ხელოვნური განაყოფიერების ხარჯები;
5. ფსიქიური დაავადებების, ფსიქოთერაპევტის და ფსიქოლოგის; (გარდა სტრესთან და სომატოფორმის დარღვევებთან დაკავშირებული ნერვოზებისა);
6. არა სამედიცინო ჩვენებით ჩატარებული აბორტის ხარჯები;
7. ბე და ცე ჰეპატიტებთან, შიდსთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული გამოკვლევისა და მკურნალობის ხარჯები;

Исключения, предусмотренные договором страхования

Не покрываются /не возмещаются:

1. Расходы на приобретение очков, контактных линз и слуховых аппаратов;
2. Расходы на лечение генетических заболеваний и дефектов (но при этом возмещаются расходы на первичную консультацию врача, неотложные амбулаторные услуги, а также на плановые и неотложные хирургические вмешательства); наряду с этим, врожденным заболеванием не может считаться малый вес новорожденного, морфофункциональная незрелость и расходы, понесенные в связи с выхаживанием новорожденного и респираторной поддержкой, если новорожденный при выписке из клиники будет признан полностью здоровым;
3. Расходы на экзо протезирование и трансплантацию (кроме, предусмотренных страховым полисом);
4. Расходы, связанные с сексуальными нарушениями, импотенцией, бесплодием, обследованием и лечением, контрацепцией (кроме контрацептивов, назначенных с целью лечения), расходы на ЭКО;
5. Расходы на лечение психиатрических заболеваний (кроме неврозов, связанных со стрессом и соматоформными расстройствами);
6. Расходы на аборт, проведенный без медицинских показаний;
7. Расходы на обследование и лечение, связанные с В и С гепатитами, СПИДом и их осложнениями (кроме расходов на



(გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა, რაც გულისხმობს ექიმის კონსულტაციას და სწრაფ მარტივ ტესტს);

8. გონორეის, ათაშანგის, შანკროიდის, ვენერიული გრანულომით გამოწვეული დონოვანოზის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება (გარდა პირველადი დიაგნოსტიკისა, ექიმის კონსულტაცია და ნაცხის ბაქტერიოლოგიური ანალიზი ხარჯებისა);

9. არატრადიციული მედიცინის (აკუპუნქტურა, ჰომეოპათია, პლაზმოფერეზი, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზიკულურა, ლოგოპედის მომსახურება, სანიტარულ-კურორტოლოგიური მომსახურება მანუალური თერაპია, სუჯოკთერაპია და ა.შ.) წონის კორექციასთან დაკავშირებული ხარჯები;

10. კოსმეტიკური მიზნით ჩატარებული მკურნალობის ხარჯები (გარდა თვალის სიელმის კორექციისა, ცხვირის მგიდის ქირურგიული გასწორებისა სუნთქვის პრობლემების გათვალისწინებით და სტომატოლოგიისა 17 წლამდე ბავშვებისათვის);

11. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სათანადო ლიცენზიის არ მქონე სამედიცინო დაწესებულებაში მიღებული მომსახურების ხარჯები, ასევე სამედიცინო მომსახურების გაწევის ნებართვის არ მქონე პირების მიერ ჩატარებული მომსახურება;

12. თვითდაზიანებით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები; იმ შემთხვევებით გამოწვეული დაავადებების ხარჯები, როდესაც დაზღვეული განზრახ იგდებს თავს საფრთხეში, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ის მოქმედებს სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით; თვითმკურნალობასთან დაკავშირებული ხარჯები; კრიმინალურ ქმედებაში მონაწილეობის შედეგად;

13. ალკოჰოლიზმთან, ნარკომანიასა და ტოქსიკომანიასთან დაკავშირებული

первичную диагностику (подразумевается консультация врача и простой экспресс-тест);

8. Расходы на исследование и лечение гонореи, сифилиса, шанкроида, венерической гранулемы (донованоза), (кроме расходов на первичную диагностику, подразумевается консультация врача и анализ бактериологического мазка);

9. Расходы на лечение методами не традиционной медицины (акупунктура, гомеопата, мануальная терапии, плазмафереза, лечебный массаж, лечебная физкультура, логопед, санитарно-курортные услуги, Су Джок терапия и т.д.), расходы с целью коррекции веса;

10. Расходы на лечение, проведенное с косметической целью (кроме коррекции косоглазия, хирургического исправления носовой перегородки учитывая затруднения проблем с дыханием, и стоматологии для детей до 17 лет);

11. Расходы на консультации и лечение в медицинских учреждениях, не имеющим соответствующую лицензию согласно законодательству Грузии, и у частных лиц, не имеющих право на осуществления медицинской деятельности;

12. Расходы на лечение повреждений, полученных при осуществлении противозаконных действий, предусмотренных Уголовным кодексом, или нанесение себе повреждений, кроме случаев, которые имеют место при действиях, совершенных для спасения чужой жизни или в пределах необходимой самообороны;

13. Расходы, связанные с наркоманией, алкоголизмом и токсикоманией; расходы на



ხარჯები; ალოკოპოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული ნივთიერებ(ებ)ის ზემოქმედების ქვეშ სატრანსპორტო საშუალების მართვისას მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეული სამედიცინო მომსახურების ხარჯები;

14. სამოქალაქო ომში, საომარი მოქმედებების დროს, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებში, შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის შედეგად მიღებულ დაზიანებათა მკურნალობის ხარჯები;

15. რადიაციული დასხივების შედეგად მიღებული დაზიანების მკურნალობის ხარჯები;

16. ნებისმიერ პროფესიულ სპორტში მონაწილეობისას მიღებული ტრამეების მკურნალობის ხარჯები;

შენიშვნა:

1. მზღვეველი მოვალეა დაზღვეულის მომართის შემთხვევაში დადგენილი თანადაფინანსების წილისა და ლიმიტის ფარგლებში ანაზღაუროს სამედიცინო მომსახურების ხარჯები, მიუხედავად იმისა ფინანსდება/ანაზღაურდება თუ არა აღნიშნული მომსახურება სახელმწიფო/რეფერალური პროგრამ(ებ)ით;

2. მზღვეველი ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისები მოცემულია ამომწურავად და აღნიშნულიდან გამომდინარე, გამონაკლისის მიზეზით, სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დანიშნული სამედიცინო გამოკვლევები/მანიპულაციები, მკურნალობა პირდაპირ არის გათვალისწინებული გამონაკლისებით;

3. მხარეთა შეთანხმებით ექიმ-სპეციალისტის კონსულტაცია, ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევები/მანიპულაციები ექვემდებარება ანაზღაურებას ბარათის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, მოჰყვა მას თუ არა შემდგომი მკურნალობა;

лечение заболеваний, вызванных дорожно-транспортным происшествием, произошедшим вследствие управления транспортным средством под воздействием алкоголя, наркотических, токсических или психотропных веществ;

14. Расходы на лечение повреждений, полученных в результате участия в гражданской войне, военных действиях, антигосударственных выступлениях, вооруженном противостоянии, террористических актах;

15. Расходы на лечение повреждения, полученного при радиационном облучении;

16. Расходы, связанные с происшествиями во время участия в любых видах профессионального спорта;

Примечание:

1. Страховщик обязуется в случае обращения застрахованного, в рамках установленного порядка со-оплаты и в пределах лимита, возместить расходы по медицинскому обслуживанию, несмотря на то финансируется/возмещается или нет данное обслуживание государственными / реферальными программами;

2. Страховщик подтверждает, что предусмотренные договором исключения приведены исчерпывающе и, исходя из этого, отказ от страхового возмещения в виде исключения возможен только в том случае, если назначенные медицинские обследования / манипуляции, лечение прямым образом указаны в исключениях;

3. Согласно договоренности сторон, консультация врача / специалиста, проведенные медицинские обследования / манипуляции подлежат возмещению в соответствии с картой, несмотря на то последовало ли далее лечение;

4. ეპიდემიით, პანდემიით გავრცელებული დაავადებების დიაგნოსტიკის / მკურნალობის ხარჯები, თუმცა მოცემული უფლება არ შეეხება დაავადების შემდგომ კვლევისა და მკურნალობის ხარჯებს.

მოთხოვნები სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლების მიმართ:

სადაზღვევო მომსახურების პოტენციურმა მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს:

- ხელშეკრულების ნიმუში;
- სამედიცინო დაზღვევის პირობები;
- სიცოცხლის დაზღვევის პირობები;
- სრული შრომიუუნარობის შემთხვევაში, უბედური შემთხვევის დაზღვევის პირობები;
- მოგზაურობის დროს დაზღვევის პირობები;
- ფასის წინადადება.
- ერთეულის ფასი და საერთო ფასი ლარებში, დღგ-ს გარეშე, მომწოდებლის ყველა ხარჯის ჩათვლით, ტექნიკურ სპეციფიკაციებში მითითებული პირობებისა და წესების შესაბამისად.
- ლიცენზიის ასლი (თუ შესყიდვის პირობები ითვალისწინებს სავალდებულო ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობას);
- პოტენციურ მომწოდებელს უნდა ჰქონდეს სამწლიანი გამოცდილება შესასყიდი მომსახურების ბაზარზე (ყოველი წლისთვის სულ მცირე ერთი დადასტურება) ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, რაც დასტურდება შესაბამისი ზედნადებებით ან გაწეული მომსახურების მიღება-გადაცემის დამადასტურებელი აქტებით (წარადგინეთ განაცხადთან ერთად).

საკონტაქტო პირები:

ირინა კეპულაძე

საკონტაქტო ტელ: +995577 202772

ელ.ფოსტა: Kepuladzel@Batumioilterminal.com

თამარ აროშიძე

საკონტაქტო ტელ: +995577 202712

ელ.ფოსტა: AroshidzeT@Batumioilterminal.com

4. Расходы на диагностику / лечение заболеваний, распространенных эпидемией, пандемией, однако данное право не касается расходов на дальнейшей обследование и лечение.

Требования к поставщикам страховых услуг:

Потенциальный поставщик страховых услуг должен представить:

- Образец договора;
- Условия медицинского страхования;
- Условия страхования жизни;
- Условия страхования несчастного случая при полной нетрудоспособности;
- Условия страхования путешествий;
- Список провайдеров.
- Цену за единицу и общую цену в лари, без учета НДС, с включенными в неё всеми расходами поставщика на условиях, указанных в технической спецификации.
- Копию лицензии (в случае, если условиями закупок предполагается деятельность, которая подлежит обязательному лицензированию);
- Наличие у потенциального поставщика опыта работы на рынке закупаемых услуг за 3 года (не менее одного подтверждения по каждому году) в течение последних 5 лет, подтвержденного соответствующими накладными или актами, подтверждающими прием-передачу исполненных услуг (предоставить в составе заявки).

Контактные лица:

Ирина Кепуладзе

тел: +995577 202772

эл. почта: Kepuladzel@Batumioilterminal.com

Арошидзе Тамар

тел: +995577 202712

эл. почта: AroshidzeT@Batumioilterminal.com



Согласовано:

შეთანხმებულია:

პერსონალის მართვის გაცხოფილების უფროსი
Начальник отдела управления персоналом
Должность, თანამდებობა


Подпись, ხელწერა

ირინა კეპულაძე
Ирина Кепуладзе
Имя, фамилия

ტექ. დავ. შინაარსის გაცნობის ფაქტი
დაადასტურეთ ხელწერით და ბეჭდით:

Факт ознакомления с содержанием ТЗ
подтвердить подписью и печатом:

ხელმოწერა, ბ.ა. / Подпись, м.п.